



იმისთანა წმინდა საძმომი, ბრძოლით ბეჭდუნი სიღვავა, ფეხილებით და ჭბრებით ბრძოლის გადგანა ყულა უკადრისებრაჟ უსამაგლესია.

გაგონის 1918 წლის 25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 3 ნოემბერი. 2023 წ. №123 (9655) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ნუგზარ რუხაძე:

ვინ მართავს დღეს მსოფლიოს?!



მოსახლეობის გატების (თუ კლების) შოკი?!

სამყარო, რომელშიც გვიწევს ცხოვრება, თვალსა და ხელს შუა იცვლება, საცხა ეკოლოგიური, ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური მოულოდნელობებით, რომელთა გამკლავება ადარაა დამოკიდებული მხოლოდ შეძენილ ცოდნასა და ადამიანურ ალღობზე. დღევანდელ მსოფლიოში მშვიდ და კმაყოფილ ცხოვრებას ანალიტიკური მიდგომა და მეცნიერული ჯვრეტა სჭირდება. ჩვენ, ყველას, ჩვეულებრივ ადამიანებს, და არა მხოლოდ მათ, ვინც ჩვენ გვამართავს ჩვენივე ნებითა და თანხმობით, სამყაროს მთლიანობაში გააზრება და დედამიწაზე არსებულ ვითარებაში გარკვევა გვეჭირდება იმისთვის, რომ ცხოვრება გაგვიადვილდეს.

როგორ გამოიყურება მსოფლიო დღეს, რითაა დაკავებული მისი მთავარი ბინადარი, ადამიანი, და რის წინაშე, შეიძლება, დადგეთ ახლო მომავალში? ასეთი მიდგომა, ჩვენი მომავალი ნაბრუნვისთვისაც მოგვამზადებს და მსუქლობასაც გაგვიმარტივებს მიმდინარე თემატიკაზე. მსოფლიო ბოლო 100 წლის მანძილზე მკვეთრად შეიცვალა, რომლის ძირითადი მიზეზი ელვისებური დემოგრაფიული ცვლილებაა. 1923-დან 2023 წლამდე, დედამიწის მოსახლეობა ორი მილიარდიდან რვა მილიარდამდე, ანუ მესამედით გაიზარდა. 21-ე საუკუნის ბოლომდე 10,5 მილიარდი ვიქნებით.

ნ. 8 გვ.




წმინდა სინოდის სდრომაზე სიმშვიდა იყო...

გუშინ საპატრიარქოში წმინდა სინოდის სდრომა გაიმართა. სდრომა პატრიარქის მოწვევით შედგა და მას მაღალი იერარქიის სასულიერო პირები მონაწილეობდნენ. მათი განცხადებით, სასულიერო პირებმა განიხილეს ბოლო დროს ეკლესიაში დაგროვილი საკითხები. დეტალები სინოდის განჩინებაში იქნება ასახული, რომელიც საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

„არცერთი ის განცხადება, რაც აქამდე გავუთქვამდით მძიმე საკითხები უნდა ყოფილიყო გამოტანილი სხდომაზე, არ გამართოდა მორიგ ჯერზე. ამიტომ, დავიმასხვრეთ ეს ყველა და ტყუილად ნუ შევიყვანთ ხოლმე მოსახლეობას შეცდომაში. მიმოხილული იყო ლეკონიკური ტენიონები ჩვენი ტაძრების მდგომარეობა, იმ ეპარქიების მდგომარეობა, სადაც საოკუპაციო ხაზი გადის. მიმოხილული იყო ეპარქიები მაღალმთიან რეგიონებში, ასევე ზოგად იყო განხილული პოლიტიკური და საომარი ვითარებები, რომლებიც ჩვენს რეგიონსა და სამეზობლოში ხდება“, – აღნიშნა საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ანდრია ჯალაღბაძემ.

შურნალისტების მხარე უამოღებოა... იქმნება უპაღურთა და მოღალატეთა კიდევ ერთი პარტია! 5

ირაკლი გობაია: მსოფლიო ოლიგარქიული კლანების და რადიკალური გლობალისტების წინააღმდეგ დიდი შეტევა მზადდება




ნ. 2-3 გვ.

მოკავშირეებმა ზელენსკის უღალატეს! 6

კავკასიელების ღვაწლი ქრისტიანული ისტორიული კვლევების მუშაობლობაში 7

„ლაშობა - 23“ პოეტის ლექსებით აღფრებული ოღაბაღი... 9 გვ.





პოლიტიკოები, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ირაპლი ბობაძე ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სამ – პოლიტიკურ, ეთნიკურ და რელიგიურ განზომილებაზე საუბრობს.

როგორც გოგავა ამბობს, სამივე რელიგიას იუდაიზმს, ისლამს და ქრისტიანობას თავისი პოზიცია აქვს. ქრისტიანების მიხედვით, როდესაც სოლომონის მესამე გაბარი აშენდება, იქ ანგეტირისგე ანუ ცრუ მესია დაიდგამს ცახტს და ის 1260 დღე, 42 თვე ანუ 3,5 წელი იმეფებს, შემდეგ კი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა იწყება.

იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა იწყება. ისლამსაც იგივე სცენარის სჯერა. იუდაიზმის მიხედვით კი, სოლომონის მესამე გაბარი როცა აღდგება, იქ მაშიახი ანუ მესია გამეფდება.

სამივე რელიგიისთვის ეს ფუნდამენტური საკითხებია და თუ დავაკვირდებით, ისლამს და ქრისტიანობას მსგავსი პოზიცია აქვთ. დღეს ირაპლი ბობაძე გვესაუბრება.

ირაკლი ბობაძე: მსოფლიო ოლიგარქიული კლანების და რადიკალური გლობალისტების წინააღმდეგ დიდი უბეძეა მზადდება

– ბატონო ირაპლი, ახლო აღმოსავლეთში ომი გაჩაღდა. ჩვენ ვიხილეთ „ჰამასის“ შეტევა ისრაელზე. ახლა ისრაელი დაიბრუნდა. ახლა ისრაელი დაიბრუნდა. ახლა ისრაელი დაიბრუნდა.

ირაკლი ბობაძე: ამ კონფლიქტს სამი განზომილება აქვს: პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური. პოლიტიკური და ეთნიკური განზომილება მოგვარებადია, მაგრამ აი, რელიგიური მოგვარება შეუძლებელია, რადგან ასეა დაწერილი.

პრობლემის პოლიტიკური ნაწილიც კი დღემდე მოუგვარებელი რჩება. 1947 წელს გაერომ 181-ე რეზოლუცია მიიღო, რითაც ისრაელის და პალესტინის სახელმწიფოების შექმნის რეკომენდაცია გასცა. ამ გადაწყვეტილებით, იერუსალიმი და ბეთლემი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა, პალესტინამ კი მხოლოდ ავტონომიის მიაღწია და იმ დროიდან პალესტინელები ტერიტორიებს რეგულარულად კარგავენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიული დანაკარგები ძირითადად ომების შემდეგ ხდებოდა. ომებში პალესტინელები კი არა, არაბული სახელმწიფოები მონაწილეობდნენ. თავიდან ეგვიპტეს, სირიას და იორდანის პალესტინის ტერიტორიების მიერთება სურდათ. და კიდევ: ისრაელმა 1967 წლის 6-დღიანი წარმატებული ომის შემდეგ ე.წ. „ჩასახლებების“ პოლიტიკა დაიწყო და მას შემდეგ პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე ებრაელებს ცალკე უბნებს



უბნებს და იქ ასახლებენ. ამ პროცესების გამო ის რუკა აქტუალური, რომელსაც თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი გაეროს ტრიბუნლიდან აჩვენებდა და დიდი რეზონანსი გამოიწვია.

ამ საკითხში ყველა მხარეს თავისი სიმართლე აქვს. რთულია ობიექტურად შეაფასო ვინ მართალია და ვინ მტყუანი. ისტორია უნდა ვიცოდეთ, რომ გავრეკვეთ, თუ რა რთული, თითქმის გადაუჭრელი პრობლემასთან გვაქვს საქმე. ჩვენ, ქართველებს, ებრაელებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, არასდროს ყოფილა საქართველოში მათი დევნა. ქართველ ებრაელებს საქართველო თავის მეორე ქვეყნად მიაჩნიათ და მეორე ბრუნდება კიდევ. ახლახანს გამოქვეყნდა ცნობა, რომ ქართველმა ებრაელებმა ათასობით შინა იყიდეს თბილისსა და ბათუმში.

გადმოსახლებას არ აპირებენ, მაგრამ აქ ურთიერთობები შეინარჩუნეს. ეგ ხალხი არ უნდა დაეკარგოთ, ეს ქსელური ენია და ეკონომიკას ბევრ ქვეყანაში ავითარებენ, მათ დიდ რესურსებთან წვდომა აქვთ. 90-იან წლებში რუსებმა ამიტომ დაიყენეს გვერდში ებრაელები და სომხები – კომერციული უნარების გამო. სხვათა შორის, ეს პროცესი ქართველების ხარჯზე მოხდა, ჩვენს საქმოსნებს ძალიან ძლიერი პოზიციები ჰქონდათ, მაგრამ გამოდევნეს. ახლა იქ ვითარება, როგორც ვხედავთ, იცვლება.

– ისტორია რას გვეუბნება, როგორ ვითარდებოდა ამ რეგიონში მოვლენები?

– ებრაელები ამ ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღიგებებამდე მე-13 საუკუნეში ეგვიპტიდან მოდის და ქანანის ქვეყანას იპყრობენ. ეს მიზლიაში არის აღწერილი. ჩვ.წ.ად.მდე მე-11 საუკუნეში ებრაელების მეფე დავითმა იერუსალიმი დაიპყრო და პირველი ებრაული სახელმწიფო შექმნა. შემდეგ მისი შვილი სოლომონ ბრძენი, იგივე ეკლესიასტე, მეფობდა და ცნობილი სოლომონის ტაძარი ებრაელთა ღმერთ იახვეს სწორედ მან აუშენა. ეს ტაძარი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ მეორემ ჩვ.წ.ად.მდე მე-6 საუკუნეში გაანადგურა. ბაბილონი სპარსეთის მეფე კიროსმა დაამარცხა და ნახევარი საუკუნის შემდეგ ებრაელებმა სოლომონის ტაძარი აღადგინეს – მას „მეორე ტაძარი“ უწოდებენ.

ამ დროისთვის იუდაიზმი, როგორც რელიგია, თითქმის სამოლო ფორმით ყალიბდებოდა. შემდეგ პალესტინის ტერიტორიები სხვადასხვა დამპყრობელს ეკუთვნის: სპარსეთი, ალექსანდრე მაკედონელი, სელევკიდები, რომის იმპერია. 70 წელს რომმა სოლომონის მეორე ტაძარი გაანადგურა. მე-2 საუკუნეში, აჯანყების გამო, რომის იმ-

პერატორმა არაბული ანუ სემიტური გენი აქვთ, სხვათა შორის, ვაკასიური გენიც, G2a 10%-ზე მეტი აქვთ, რადგან გასაუკვრელი არ უნდა იყოს, რადგან პროტოქართული ტომები და ქართული ტომები საკმაოდ აქტიურები იყვნენ ამ რეგიონში. მიმდებარე „დაბადებამ“ 23 თავი არის მომენტი, როდესაც აბრაამი ქებრონი მიდის და იქ ხეთელების მეფეს სხოვს ხეთელების მიწაზე თავისი მეუღლის დაკრძალვის ნებართვას და თან ეუბნება, რომ მათ ქვეყანაში მდგმურად არის. ქებრონი იერუსალიმისგან 40 კმ-შია, ხეთელებს კი ზოგი ისტორიკოსი პროტოქართულ ტომად ასახელებს. ფაქტია, რომ დღევანდელი პალესტინელები თავს არაბებდაც თვლიან.

– ამით არის განპირობებული ის მხარდაჭერა, რასაც ვაკვირდებით?

– არაბულ სამყაროში მათ მიმართ კი არის სოლიდარობის განცდები, მაგრამ დამოკიდებულება მაინც არაერთგვაროვანია. მე ერასყა და იორდანიაში ვმუშაობდი და ვიცი ეს საკითხი. არაბები პალესტინაში მე-7 საუკუნიდან ჩნდებიან, როდესაც ხალიფა აბუ ბაქარმა და შემდეგ ხალიფა ომ-

არმა მიზანტია დაამარცხეს. ხალიფა ომ-არმა იერუსალიმში, ყოფილი სოლომონის ტაძრის მიმდებარედ, სატაძრო მთაზე ალექსანდრე მეფის ააშენა, რომელიც დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა. სხვათა შორის, ალექსანდრე მეფის მუსოლინის ნაჩუქარი უძვირფასესი მარმარილოს კოლონები ამშვენებს.

შემდეგი ხალიფები იმავე მე-7 საუკუნეში უკვე „კლდის გუმბათის“ მეფეთს აშენებენ, რომელიც იმ ადგილას არის აშენებული, სადაც ადრე სოლომონის პირველი და მეორე ტაძარი იყო. ამ მეფეთის შიგნით ფუძის ქვა მდებარეობს. იუდეველებს მიაჩნიათ, რომ ეს ფუძის ქვა არის პირველი, რაც ღმერთმა შექმნა. მათი რწმენით, ადამი და ევა უფალმა სწორედ აქ მოაველინა ქვეყნად. ისლამის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ მოციქული მუჰამედი მთავარანგელოზ გამჩიეთან ერთად ამ ქვეყანაზე დასვლიდა და ამ ქვეყანაზე იმ ფართოსანი ცხენის – ბურაკის კვალი დარჩა, რომლითაც მოციქული მუჰამედი ზეცაში ავიდა. ამ მოვლენას ისლამი ისრას და მირაჯს უწოდებს. ამ დროიდან დღევანდელი პალესტინელები არაბები გახდნენ, დასახლება „პალესტინა“ კი ფლისტინიდან მოდის და ეს ტერმინი შეროდოტემ დაამკვიდრა, ეს ხალხი მიმლოიური ხანებიდან ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ფლისტინელების წარმოშობას ხეთელებთან, კრეტასთან, ქანაანთან აკავშირებენ.

– როგორ ფიქრობთ, სოლომონის ტაძრის აღდგენა ანუ მესამე ტაძრის მშენებლობა თუ არის შესაძლებელი?

– ეს დრამატული საკითხია. აქ სამივე რელიგიას, იუდაიზმს, ისლამს და ქრისტიანობას თავისი პოზიცია აქვს. ქრისტიანების მიხედვით, როდესაც სოლომონის მესამე ტაძარი აშენდება, იქ ანტიქრისტიკ ანუ ცრუ მესია დაიდგამს ცახტს და ის 1260 დღე, 42 თვე ანუ 3,5 წელი იმეფებს, შემდეგ კი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა იწყება. ისლამსაც იგივე სცენარის სჯერა, მხოლოდ ანტიქრისტიკ დაუკლას ან ჯაჯალას ემახიან, რაც ასევე ცრუ მოციქულს ნიშნავს. ისლამის მიხედვით, უფალი მოციქულ ისას ანუ იესოს აგზავნის ჯაჯალას განსადევნად. იუდაიზმის მიხედვით კი, სოლომონის მესამე ტაძარი როცა აღდგება, იქ მაშიახი ანუ მესია გამეფდება. სამივე რელიგიისთვის ეს ფუნდამენტური საკითხებია. თუ დავაკვირდებით, ისლამს და ქრისტიანობას მსგავსი პოზიცია აქვთ. „კლდის გუმბათის“ მეფეთს იერუსალიმში მუსულმანები იყავენ, ოფიციალურ მცველად იორდანის მეფეა მიჩნეული, რადგან ის ჰამიტების დინასტიას წარმოადგენს, საიდანაც მოციქული მუჰამედი იყო.

– მორწმუნეებს ამ სცენარების სჯერათ...

– რა თქმა უნდა. ათეისტებს კი მინდა ვუთხრა, რომ შესაძლოა, მათ არ

ახლო აღმოსავლეთში ომი გაჩაღდა. ამ კონფლიქტს სამი განზომილება აქვს: პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური. პოლიტიკური და ეთნიკური განზომილება მოგვარებადია, მაგრამ აი, რელიგიურის მოგვარება შეუძლებელია, რადგან ასეა დაწერილი.

სისხლი ფულისა წილ!

სკეროდეთ მეორედ მოსვლის და ანტიქრისტეს გამეფების, მაგრამ ამ სამივე რელიგიის მიმდევრები ისე არიან დაპროგრამებულნი ამ სცენარზე, რომ ეს აუცილებლად მოხდება. ანუ როგორი კუთხითაც არ უნდა შეხედო, ეს გარდაუვალია. თუმცა, მორწმუნეს ამის არ უნდა შეეშინდეს, პირიქით ვინც ძლიერია რწმენაში, ამბობს, რომ რაც მალე გამეფდება ანტიქრისტე, მით უფრო მალე იქნება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ანტიქრისტეს მოსვლას ხელი შევეწყობთ. მეორედ მოსვლა იმას ნიშნავს, რომ ხალხებმა ადგილებზე, ანუ ამ ქვეყანაზე, ადამიანთა მიწაზე ვერ ივარგეს. ეს გაუთავებელი ომები, სიხარბე, უზნეობა, უხამსობა კი აქეთვენი მიგვაქანებს.

რაჲ შეეხება „ჰამასს“, გამოხატავს თუ არა პალესტინელი ხალხის აზრს?

— ცნობილია, რომ „ჰამასი“ 1987 წელს „ძმები მუსულმანების“ ეგვიპტური ფილიალის ბაზაზე შეიქმნა. ბევრს მიაჩნია, რომ თავად „ძმები მუსულმანები“ 1928 წელს შეიქმნა და ბრიტანულ-ფრანგული პროექტია. იმ დროს საფრანგეთი და ბრიტანეთი სუ-



დიდი „ნებანლის“ შავი წელიწადი?!

თავის დროზე „ჰამასის“ დაფუძნებელს ახემელ იასინს ისრაელის სახელმწიფო ღიად აფინანსებდა კიდევაც. თუმცა, ერთი რამ არის, სპეცსამსახურების მიერ შექმნილი მტკიცე აზრებით, ალრა თუ ბვიან, კონტროლიდან შეიძლება გავიდნენ. ამის მაგალითი ბევრია: შამილ ბასაევი, ვაჰაბიტაბი, ისლამური სახელმწიფო, კლყაიდა, ბოკო ჰარამი, აუშ სენრიკო და ასე შემდეგ. აგენტები იღუპებიან ან სხვა უფრო მეტ ფულს უხდის და ასე შემდეგ.

— რას ემსახურებოდა „ჰამასის“ ტერორისტული თავდასხმა ისრაელის მოსახლეობაზე და ვინ შეიძლება იდგეს ამ თავდასხმის უკან?

— რთული სათქმელია. ბევრი ირანს ახსენებს, ირანი ლიბანური „ჰესბოლას“ მეგობარია. ირანი შიიტურია, „ჰამასი“ კი სუნიტები არიან. ამბობენ, კატარი აფინანსებს, მაგრამ კატარი ანგლოსაქსების გარეშე ერთ ნაბიჯს არ დგამს. ეს ის შემთხვევაა, როცა ჯობია შედეგების მიხედვით ვიმსჯელოთ.

ბე მეტი ადამიანია დაღუპული ამ ბრძოლებში. საბოლოოდ იასინ არაფერა „ჰამასი“ იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან განდევნა და „ჰამასმა“ მყარად მხოლოდ დაზას სექტორში მოიკიდა ფეხი. დაზაში 2,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. პალესტინელების უმრავლესობა „ჰამასს“ მხარს არ უჭერს, რადგან ისინი ტერორისტული მეთოდებით მოქმედებენ და პალესტინის განთავისუფლების მოძრაობის დისკრედიტაციას ახდენენ.

„ჰამასი“ ბევრ სახელმწიფოს ტერორისტულ ორგანიზაციად ჰყავს გამოცხადებული, თუმცა მათთან დიპლომატიური ურთიერთობები არაა დაწყებული. ამას როგორ ხსნიან?

— მათ აქვთ წარმომადგენლობა კატარში, რომელიც აშშ-ს თანხმობით არის შექმნილი. თავის დროზე, „ჰამასის“ დამფუძნებელს, ახმელ იასინს ისრაელის სახელმწიფო ღიად აფინანსებდა კიდევაც. თუმცა, ერთი რამ არის, სპეცსამსახურების მიერ შექმნილი მსგავსი ავანტიურისტული პროექტები, ადრე თუ გვიან, კონტროლიდან შეიძლება გავიდნენ. ამის მაგალითი ბევრია: შამილ ბასაევი, ვაჰაბიტაბი, ისლამური სახელმწიფო, ალყაიდა, ბოკო ჰარამი, აუშ სენრიკო და ასე შემდეგ. აგენტები იღუპებიან ან სხვა უფრო მეტ ფულს უხდის და ასე შემდეგ.

რაჲ ემსახურებოდა „ჰამასის“ ტერორისტული თავდასხმა ისრაელის მოსახლეობაზე და ვინ შეიძლება იდგეს ამ თავდასხმის უკან?

— რთული სათქმელია. ბევრი ირანს ახსენებს, ირანი ლიბანური „ჰესბოლას“ მეგობარია. ირანი შიიტურია, „ჰამასი“ კი სუნიტები არიან. ამბობენ, კატარი აფინანსებს, მაგრამ კატარი ანგლოსაქსების გარეშე ერთ ნაბიჯს არ დგამს. ეს ის შემთხვევაა, როცა ჯობია შედეგების მიხედვით ვიმსჯელოთ.

ვნახოთ, რა შედეგი გვაქვს დღეს ან რა შედეგებს უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში. „ჰამასმა“ დაუნდობელი ტერორისტული თავდასხმა განახორციელა და ასობით მშვიდობიანი მოქალაქე მოკლა. მსოფლიო შოკში ჩავარდა და ისრაელს სრული სოლიდარობა გამოუცხადა. არაბული და ისლამური ქვეყნებში კი მკაფიო პოზიციას ვერ გამოხატავენ...

შემდეგ ისრაელმა დაზას სექტორის დაბოგა დაიწყო, სადაც ასევე მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა, თანაც დღეისთვის უკვე 8-ჯერ მეტი. ვფიქრობ, რომ ვინც „ჰამასს“ თავდასხმა შეუკვეთა, ისრაელისგან სწორედ ასეთ ნაბიჯს ელოდა. ისრაელი ცნობილია იმით, რომ ტერორისტებთან უკომპრომისოდ იბრძვის და მთელ თავის ძალას მტრის წინააღმდეგ იყენებს. აიკიდლოს პრინციპი გამოიყენეს ისრაელის წინააღმდეგ. ვაკვირდებით, რომ მსოფლიოში დღეს ტენდენცია შეცვლილია. სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი სოლიდარობას პალესტინელებს უცხადებს.

უკვე გაჩნდა მოწოდებები და აგრესიული ქმედებები ებრაელების მიმართ ბევრ ქვეყანაში...

— ვნახეთ, რა ხდებოდა დაღესტანში; ვნახეთ, მრითანულმა „მიზისიმ“ ისრაელის ყოფილ პრემიერ ბენეტს ეთერი როგორ გაუთიშა. დულილია ამერიკის, მრითანეთის, ევროპის, ისლამური ქვეყნების ქუჩებში. ეს ყველაფერი ანტიისრაელური და ანტისემიტური ნოტებსაც ატარებს. ისრაელი წინასწარ გამოთვლილი შესაძლო ქმედებების ალგორითმის გამოყენებით გადაჩეხეს ამ სცენარში. ეს პროცესი არ გაჩერდება. ანტიემბრაული ემოციები მრავალ ქვეყანაში გაიზარდა. იქნებ, სწორედ ეს იყო მიზანი იმ ძალებისა, ვინც „ჰამასს“ შეტევას მზადნება

მისცა. პარალელურად, ვხედავთ, რომ რუსეთშიც ეს პროცესია დაწყებული: ცნობილი ოლიგარქების მოსკოვი და ლონდონი ერთობლივად „ატყავებენ“ და ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ აღარ იყიან სად წავიდნენ. აგერ, ცნობილ პროპაგანდისტ სატანოვსკის ნერვებმა უმტყუნა და ცენტრალური არხიდან პანდურთა გააგდეს. რამდენიმე თვეში სხვებიც მიჰყვებიან.

რას უნდა ველოდოთ ამ პროცესებიდან გამომდინარე?


— მზადდება დიდი შეტევა მსოფლიო ოლიგარქიული კლანების და რადიკალური გლობალისტების წინააღმდეგ. ...ეს ის ხალხია, ვინც მსოფლიოს უკუღმართი ფსევდოლიბერალური იდეოლოგიით წამოიყვანა და პლანეტარული მასშტაბის სპეცოპერაციებს ატარებს. ამ შეტევის უკან უნდა მოვიანროთ ტრამპის ბანაკი, ანუ კონსერვატიული ამერიკა, მრითანეთის არისტოკრატია, ევროპული ტრადიციული არისტოკრატული ოჯახები, რუსეთის „სილოვიკები“, ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა.

ახლა შეტევის მოსამზადებელ ფაზას ვაკვირდებით. დიდი „წმენდა“ მომავალ წელს დაიწყება.

რატომ მომავალ წელს?

— ბევრ ქვეყანაში არჩევნების წელია. ნოემბერში ამერიკის პრეზიდენტის არჩევნება, მარტში რუსეთის პრეზიდენტის, იანვარში ტაივანის პრეზიდენტის, ივნისში ევროპარლამენტის, მარტში უკრაინის პრეზიდენტის (თუ არ გააუქმეს). მოკლედ, საჭადრაკო დაფაზე ფიგურები ახალი მანდატებით განლაგდებიან და უფრო მეტი ინტენსივობით დაიწყება „დიდი თამაში“-ს შემდეგი ეტაპი.

ესაუბრა თამთა ძარჩაზა





გალა ზადელაშვილი:

იქნება უგაღურტა

და მოღალატეთა კიდევ ერთი პარტია!



...ღიას, 5-პროცენტისანი ბარიერი არ შეიძირდება და ეს იქნება სანიდარო იმისა, რომ ნაბავი, რომელიც გლოვად დაბრუნდა ქართულ პოლიტიკაში, უთუოდ ჩაირიცხება.



ამას ნინოზიძე ირაკლი კობახიძემ თქვა, „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებში 2024 წელსაც გაიმარჯვებს და 2028 წელსაც. ზოგიერთ ურწმუნო თომას ემხრობა, ეს როგორ და რანაირად? – იკითხა მადამა. რამდენიმე მათგანი უმაღლეს დავამში – „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებში 2032 წელსაც გაიმარჯვებს და 2036 წელსაც. შემდეგ კი ხელისუფლებაში მოვა ახალი თაობა ახალი სახელწოდებით, რომელიც „ქართული ოცნების“ წიაღიდან იქნება აღმოცენებული-მეთქი.

უტა-მალაპუტასავით) და სხვა „დაპაშოლეზებული“, მე თქვენ გეტყვით, ცოტანი არაინ თუ?!

ალბათ დამეთანხმებით, სალომე ზურაბიშვილი და გიორგი გახარია საოცრად უხდებიან ერთმანეთს. თუმცა, როგორც ცნობილია, ყველა პროდუქტს შეგავებისას არ გააჩნია სასარგებლო თვისებები. მეტიც, ხშირად ნაზავი უხამადაც კი გარდაიქმნება. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ქალბატონი სალომე სიტყვა „კანალიზაციის“ დადებითი მნიშვნელობით იყენებს და იმედია, ამ შედარებასაც ცუდად არ გაიგებს – ზურაბიშვილი და გახარია ზუსტად ისე უხდებიან ერთმანეთს, როგორც შარდი და განავალი. უკაცრავად, ვიცი, ცოტა რთული წარმოსადგენია, მაგრამ სხვა გზა არ არის, სიმართლე უნდა ითქვას. განა თქვენ სხვანაირი ასოციაცია გავიხრდებოდა, როცა მათ ერთად დაინახავთ ე.წ. პოლიტიკურ პოლიუმზე?! შესაბამისად, მათი პარტიაც ისევე ჩაირიცხება 5-პროცენტის ბარიერს ქვემოთ, როგორც ამ ორი „პროდუქტის“ ნაზავი ჩაირიცხება ხოლმე.


მეტიც, მე ის კი არ მიკვირს, სალომე ზურაბიშვილმა, გიორგი გახარიამ, ნინო ლომჯარია, ევა მესელიამ, თამარ ჩუგოშვილმა და მათთანგან რომ პარტიის შექმნა და პარლამენტში მოხვედრა მოინდომეს, მე უფრო იმ ე.წ. პარტი-

ნების მიკვირს, ვინც ამ „ვოლტებში“ ჯერ ფულს ხარჯავს, შემდეგ კი – დროსა და ენერჯიას. ვერ ვიგებ და ვერც ვერასდროს გავიგებ, თუ ფული და ენერჯია გაიხრია, ვგეტ დუპლეთებში რატომ უნდა ჩადო? ჩადი, რა, ფერმა ააშენე, ხალხი დაასაქმე, ძროხები მოამრავლე, წველადობა გაზარდე, ფაფა მოადლე, ჭამე, ფისი ქენი, დაიძინე... სულაც, მაწონი ჩაადედე, გაყიდე, მიზნის განვითარე. აბა, მელომე სალომესა და ჩოილარ გახარიაზე „სტავკას“ რომ დებ, ნამჯა არ გიყრია თავში?!

ეს უცხოელში კიდევ ჩვენგან დეპოლარიზაციას და დეოლიგარქიზაციას რომ ითხოვენ, რატომ ვერ ამჩნევენ, რომ ჩვენ სხვა რაღაცეები უფრო გვჭირდება? სად არის მათი სიმრძნე და შორსმჭვრეტელობა? ღიას, ჩვენ, მაგალითად, დღეს „დეკანალიზაცია“ უფრო გვჭირდება, ვიდრე გემოთ ნახსენები წვრილმანები. რა, ქართული პოლიტიკა რომ ფეკალიებისგან არის გასაწმენდი, არ მეთანხმებით? რა თქმა უნდა, მეთანხმებით და ტაშაც კი მიკრავთ.

რამდენიმე დღის წინ ევა მესელიამ 5-პროცენტისანი ბარიერის დაწვევა მოითხოვა. ამაზე გვერი ვიცინე. საინტერესოა, რამდენზე უნდა დაიწიოს ბარიერი, რომ ევა მესელია გადუპუტდეს? 3 პროცენტამდე? 2-მდე? 1-მდე? 0,01-მდე? მანის არ არი, სულაც 0,01-მდე რომ დასწიოს ბარიერი, ევა მესელია მიინც ვერ შევა პარლამენტში. ასევე არაინ დანარჩენებიც – გაიხსენეთ, სანამ მიძინა ივანიშვილის სურათები არ გაიხსენდა მის მიღობრდებზე, ვერა და ვერ გავათრეთ პრეზიდენტად. რაც შეეხება „ვოლტებს“ გახარია, სკოპს, თავის ძალს მიხედოს და „ტიკ-ტოკში“ იჯლანოს.

...ღიას, 5-პროცენტისანი ბარიერი არ შეიძირდება და ეს იქნება საწინდარი იმისა, რომ ნაბავი, რომელიც გლოვად დაბრუნდა ქართულ პოლიტიკაში, უთუოდ ჩაირიცხება. ევა არი და გოგის ცხენ... საიდანაც ჩვენ მოვა-სალამდით 2036 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთანავე!



თეიმურაზ ქორიძე: ნიკა გვარამიას „ტელეკონტაქტის“ პრაპიტარო სპერტო არა აქვს, ზოგადად, ჟურნალისტისკაცსთან

ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე ნიკა გვარამიას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სოციალურ ქსელში ეხმაინება. „ნიკა გვარამიამ სიახაყით გვამცნო, 7 ნოემბერს ბრიუსელში მივდივარ, მერე იქიდან აშშ-ში, ჟურნალისტური ოსკარით მაჯილდოებენო. დაუჯერებელი, საეჭვო ინფორმაციაა, მაგრამ თუ ეს მართალია, „მეგობარ“ ამერიკას ძალიან მადრე და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია ჟურნალისტიკაზე. ვამზომ სრული პასუხისმგებლობით – გვარამიას (და კიდევ გვერი მისინაინის) „ტელე-

მოღვაწეობას“ არავითარი (არავითარი!) საერთო არა აქვს, ზოგადად, ჟურნალისტიკასთან. მხოლოდ მის ნაძალადეგ და უადგილო ენაბილწობას არ ვგულისხმობ – გვარამია მაშინაც არაჟურნალისტიკა, როცა თუნდაც ფილოსოფიურ აზრებს აფრქვევს და მსმენელ-მაყურებლებს ფაქტების ნაცვლად აღქმებით აზროვნებისკენ მოუწოდებს. აი, ამერიკელები გაიწრობისთვის თუ დააწესებენ რაიმე პრემიას და მეგობარ ქართველ ტელეჟურნალისტებს დაჯილდოებენ, ხმას როგორ ამოვიღებ?!



იოსებ ჭუმბურიძე: პრეზიდენტის გულისამრავი ფარისაველობა...

ჟურნალისტი იოსებ ჭუმბურიძე პარლამენტში ირაკლი გვარამიას მიერ თონა აქუმარდიას შეურაცხყოფელი სიტყვებით მოხსენიებას სოციალურ ქსელში ეხმაინება. „ბილწსიტყვაობა იმდენად უცხო და მიუღებელია ჩემთვის, რომ ზოგჯერ, ამის გამო, მრცხენია კიდევ. მაგრამ ახლა აუცილებლად უნდა ვი-

კითხო: იქ, სადაც ნიკა პრეზიდენტ სალომეს „ყ...ქალას“ უწოდებს, ირაკლისაგან თეონას მიმართ გამოყენებული ეპითეტები ვინმეს გულწრფელად აღაშფოთებს?! * * * თვითონ პრეზიდენტად წოდებულის, გვარამიას შემწყალებლის „აღშფოთება“ ხომ მართლაც გულისამრავია – სიყალბისა და ფარისევლობის იშვიათი ნიმუში!..

„გასოფეგული“ ალექო ელისაშვილი დარბაზიდან გააძევეს



პარლამენტის სხდომა 1 ნოემბერს ხმაურითა და სიტყვიერი დაპირისპირებით გაიხსნა. დეპუტატმა ალექო ელისაშვილმა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა. „მოქალაქეების“ ლიდერმა განაცხადა, რომ სამარცხვინოა, „თავდაცვის კოდექსში“ ცვლილებები იმ ფონზე იხილვოდეს, როცა პარლამენტის შესაბამისი კომიტეტს, ირაკლი გვარამია ხელმძღვანელობს. სწორედ ამ განცხადებას მოჰყვა სიტყვიერი დაპირისპირება, რის შემდეგაც, ელისაშვილი პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომათა დარბაზიდან გააძევეს.

ნიკა მელია, ზვიად ჯუღაშვილი და ბაჩო დოლიძე სასამართლომ 2 000 ლარით დააჯარიმა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა მელიას, ზვიად ჯუღაშვილსა და ბაჩო დოლიძის საქმეზე გადაწყვეტილება გამოცხადდა. მოსამართლე ნათია გუგუშვილი ნიკა მელია, ზვიად ჯუღაშვილი და ბაჩო დოლიძე 2000-2000 ლარით დააჯარიმა. მოსამართლემ სამივე მათგანი წვრილმანი ხელიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო. შუამხსენებელმა, თბილისის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა, ირაკლი ეჭვგარეშე 22 სექტემბერს განაცხადა, რომ მას გლდანში, საკუთარ სახლთან თავს დაესხნენ. მოგვიანებით კი ადგილზე ვითარება დაიძაბა. გლდანში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირებისას პოლიციამ სამი პირი, პარტიის წევრები: ნიკა მელია, ზვიად ჯუღაშვილი და ბაჩო დოლიძე დააკავა. ისინი ადმინისტრაციული წესით იყვნენ დაკავებული. 24 სექტემბერს ნიკა მელია, ბაჩო დოლიძე და ზვიად ჯუღაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს...



მოგავალ წელს 20 წელი სრულდება ჩვენი თაობის სიამაყის, შესანიშნავი პოეტისა და ჟურნალისტის ლაშა ბახარის გარდაცვალებიდან. იგი ამ წუთისთვის ნაადრევად, 56 წლის ასაკში განუვადდა და ზეციურ საქართველოში დაიღობა. წელს კი, ოქტომბრის თვეში, მეცხრამეტედ აღვნიშნეთ უკვე ტრადიციადქცეული დღესასწაული „ლაშობა“.

იშვიათი პოეტი, ლაშა გახარია მსგავსი ბედი ეტარებდა – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბოლომდე იყო ჩაფლული პროფესიულ საქმიანობაში და თითქმის მის გარდაცვალებამდე, მეგობრების გარდა არავინ იცოდა, თუ როგორი პოეტი იყო.

„ყელში ლექსად გაჩხერილი მეტასტაზებით“ მიცვალე მამდღე რამდენიმე წლით ადრე, მეგობრების გვერდში დგომით გამოვიდა მისი პირველი კრებული და... ლაშამ სამუდამოდ დაიშვილდა მეოცნსაუკუნელ პოეტთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი. „მაგრამ ლაშა მაინც XXI საუკუნის პოეტია, იმ საუკუნისა, როდესაც ხალხმა, ახლა უკვე მისმა ერთგულმა მკითხველმა და მისი პოეზიის თავყვანისმცემლებმა გაითავისეს მისი პოეზიის სიდიადე.“

ამას წინათ, ერთ-ერთ ქორწილში ვახლდით სამეგრელოში და სიძე-პატარძლის მეგრული წესით ვაფორმებულ მავიდასთან, ხალიჩაზე ლაშას ლექსის სტრიქონები მომხვდა თვალში. ლაშაზე ვამოყვანილი სიყვარული-სადმი მიძღვნილი სტრიქონები

„რა კაკაბანა წყალია, ასინვილია და მარები, გოგონამ წყალი დალია, წყალმა გოგონას თვალეში...“ ამბე მეტი დაფასება და გათავისება პოეტის ლექსი-



ლაშა ბახარის ბიუსტის ავტორი გიორგი შხვაძეა და პოეტის მეუღლე როზა ბარიკაშვილი. სწორედ ეს ბიუსტი დაიდგება პოეტის სოფელში.



მუდამ ხალხმრავლობაა პოეტის მემორიალურ ეზოში „ლაშობის“ დღესასწაულზე, ასე იყო წელსაც

სა რაღა უნდა იყოს, – თქვა „ლაშობაზე“ მეგობრმა პოეტმა ლაშა გვასალიამ.

ჭეშმარიტებას მრძანებს იგი, რადგან რაც დრო გადის, „ლაშობაზე“ უფრო და უფრო მეტი თავყვანისმცემლები იკრიბებიან, განსაკუთრებით ახალგაზრდები ჭარბობენ, სკოლის მოსწავლეები და თითქმის ყველა გოგო-ბიჭები, რომლებმაც ზეპირად იციან თავიანთი კუთხის პოეტის ლექსები და მის დეკლამირებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.

...მეცხრამეტეწერ შვევიანთ ლაშას მეგობრები და გავუდევით საქართველოს ულამაზესი კუთხის, სამეგრელოს ლაშადის, მუხურის გზას. მადლიანი შემოდგომა, ბუნებამაც უკან გადასდო თავისი „კაპრიზები“ და გადამბული წვიმიანი ამინდების შემდეგ გამოიდანა, საკმაოდაც დათბა და მართლაც სადღესასწაულო განწყობილებით დაგვახვედრა მთებს შეყუყული ულამაზესი სოფელი, განთქმული თავისი სიყვარულით, პოეტურობითა და სტუმარმასპინძლობით. „ლაშობის“ დღესასწაულისათვის არ არსებობს ამინდის ჭირვეულობა, პანდემია, გაჭირვება და სხვა ხელის შემშლელი პირობები.

გულმხურვალე და მადლიანი მუხურელები, რომელთათვისაც ლაშას მეგობრები უკვე კარგა ხანია „თავის ხალხად“ ქცეულან, ძველებური სითბოთი გვეგებებიან. მარინა თეთრუბანიძე, ერეკლე საღლიანი, თამაზ ხმალაძე, ზაურ ნაჭყეზია, თემურ ჟღინტი და ამ სტრიქონების ავტორი უკვე ლაშას ოდაბადესთან ჩამოვდივართ თბილისიდან „აყვანილი“ სამარშრუტო ტაქსიდან და მომდომარ ლაშასთან ვუერთდებით. უკვე მერამდენედ ვუყვებით დამხვდურებს პოეტთან გატარებული წლების შესახებ, ეს მათ უკვე კარგად იცან, მაგრამ ახალგაზრდებისთვის არის საინტერესო – როგორ ეფოფინებოდა თითოეულ სიტყვას ლაშა გახარია, კარგი მოქართულე და გადამეტებულად თვითკრიტიკოსი თავისი შემოქმედებისა – აკი, საწერი მაგიდის უკრაში დატყვევებული ლექსებით არა-

სოდეს შეუწუხებია არც პერიოდული პრესა, არც – იმ დროს ცნობილი ალმანახები და არც – გამოცემლობები, უახლოესი ხალხის გარემოცვაში, ლხინობის უამს თუ აიწყვეტდა და საოცარი ლექსებით ქარბორბალას დაატრიალებდა, იგი ხომ ერთნაირი ოსტატობით აგვირისტებდა მეგრულ და ქართულ ლექსებს. დამხვდური მუხურელები, ლაშას სიყვარული მეგობრები, პოეტები და ქართულ მწერლობასთან არცთუ მწყალობად მყოფებიც იხსენებდნენ პოეტის სიყვარულს, იხსენებდნენ როგორ შემოათენდებოდათ მადლიანი მეგრული პურმარილით ჩაზნექილ სუფრასთან ლაშას ლექსთა სმენაში და ეხვეწებოდნენ „ახლა ის წავგივიტებო“, რომელი ლექსებიც თავდაც ზეპირად იცოდნენ.

ასეთი მოგონებებით დაატკვს შეკრებილები ნუგზარ ფუნიამ, კოტე ნაჭყეზიამ, ედემ კვიციანი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა დავით გოგუამ, საკრებულის თავმჯდომარემ შოთა წერეთელმა და უამრავმა მუხურელმა, ჩხოროწყულმა, ზუგდიდელმა მეგობრებმა.

წლებადღე „ლაშობაზე“ ინიციატივით გამოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელები, რომ დაქვსდეს ლაშა გახარია სახელობის პრემია, რაიონში დაიდგას პოეტის მიუსტი, რომლის ავტორია საქვეყნოდ ცნობილი მოქანდაკე გიორგი შხვაძეაია. ლაშას ოდაბადეს, უკვე ყველა იცნობს, როგორც ლაშა გახარია სახლ-მუხურეს, უკვე ყველა იცნობს შრომა გასწიეს მუხურელებმა და რაიონის ხელმძღვანელობამ, ყველაზე მეტად კი პოეტის მეუღლემ როზა მერიკაშვილმა და ლაშას ძმა, ჩვენმა უცვლელმა მასპინძელმა ელგუჯა გახარია.

„ეს ლაშაზე დღე არ უნდა იყოს დავიწყებული, ლაშას უფრო მეტი დაფასება სჭირდება და ჩვენ ამისთვის მზად ვართ, ლაშამ ჩვენი სოფლის სახელი ხომ მოელ საქართველოს გააცნო, ჩვენი მოვალეობაა მომავალ თაობას შევაცნოთ ლაშას პოეზია“, – მრძანა მუხურის საშუალო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგმა, სკოლაში „ლაშას პოეზიის დღეების“ დამაარსებელმა და „ლაშობის“ უცვლელმა წამყვანმა ირმა თოდუამ.

„ლაშობის“ დღესასწაულს როგორც წინა წლებში, ასევე წლეულსაც ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა ტელეკომპანია „კოლხეთი – 89“-მ.

„ლაშობას“ გვიანობამდე ზეიმობდნენ მუხურელები და პოეტის ოდაბადეს სტუმრები.

მამუკა ვაშაკიძე, თბილისი-მუხური-თბილისი.

ნახეთ «ნიკალა» კვირას, 5 ნოემბერს, «ამირანში»

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით შექმნილი თოჯინური ანიმაციის – „ნიკალას“ – პრემიერტაცია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თვა წულუკიანი, „დიორამა ფროდაქშენის“ წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. „ნიკალა“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსის – „ახალგაზრდული შემოქმედებითი სტარტაპების ხელშეწყობა“ – გამარჯვებული პროექტია. სამინისტროს მხარდაჭერით „დიორამა ფროდაქშენის“ გზაზე შეიქმნა სტუდია და აეწყო დიორამები. საგულისხმოა, რომ კონკურსის ფარგლებში შექმნილი ტექნიკა ორგანიზაციას დაეხმარება სხვა თოჯინური ანიმაციების შექმნაშიც. „ნიკალა“ „დიორამა ფროდაქშენის“ პირველი ნამუშევარია. ანიმაცია, რომლის მოქმედი პირები თოჯინები არიან, ფიროსმა-

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით შექმნილი თოჯინური ანიმაციის – „ნიკალას“ – პრემიერტაცია



ნის ცხოვრებასა და შემოქმედებას განსხვავებულად წარმოაჩენს. დიორამა კი არის სცენის მაკეტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი სახის გარემო შევქმნათ. მოქმედება მთლიანად მორგებულია XIX-XX საუკუნის თბილისის ესთეტიკასა და სიტუაციას. თოჯინური ანიმაცია გამოსახულებით, მუსიკითა და გარემოს ხმებით გადმოსცემს დიდი ხელოვანის შემოქმედებას და მის რთულ ცხოვრებისეულ გზას. ფილმის რეჟისორი, ოპერატორი და ანიმატორი კოტე ნინუა, პროდიუსერი – ნინა თათარაშვილი, მონტაჟის რეჟისორი – ანი ჯობაია.

თოჯინური ანიმაციის გადასაღებად შეიქმნა ათზე მეტი დიორამა და რვა თოჯინა. ხუთწუთიანი ანიმაცია „სთოფ მოუშენის“ (ანიმაცია კადრებით) პრინციპითაა გადაღებული, ტექნიკა ადრეც აქტიურად გამოიყენებოდა ქართული ანიმაციების შესაქმნელად და ის საშუალებას იძლევა ხელშესახები გაეხადოთ თითოეული დეტალი, განსხვავებულად წარმოვანიოთ ამბავი.

გზაგასაყარზე



მეგობრული „არისმოკრაზაში“?

„ჩელსი“ „ვალენსიას“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ მეგობრულ, გიორგი მამარდაშვილსა და უნაი სიმონს აკვირდება...

ახალი პირველი მეკარის შეცნა სურს და ამ მიზნით გიორგი მამარდაშვილსა და უნაი სიმონს აკვირდება.

ლავიონარი

„პირველი გოლმენი“ კალათბურთელი თორნიკე შენგელია ევროლიგის ოქტომბრის MVP გახდა.

ოქტომბერში „ვირტუსმა“ 5 მატჩი ჩაატარა და 4 მოიგო, ხოლო შენგელია თითქმის ყველა შეხვედრაში საუკეთესო იყო.



შენგელია - ოქტომბრის MVP

დააგროვა, მისი მარგი ქმედების საშუალო კოეფიციენტი კი 23.6-ია, რაც ოქტომბერში საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგება.

ოვალური ბურთი

ირლანდიელს დაეჯერება

წლის ტრადიციულ დაჯილდოებაზე მსოფლიო რაგბიმ სამსაჯო კარიერისთვის პრიზი ამჯერად დევიდ მაკეიუს გადასცა...

ა.შ., რომლებიც თავიანთ პირველ მატჩებს უკვე ატარებენ ევროპის ჩემპიონატის, იპისიარის და სხვა ტურნირებზე.



„რომ ანა ის დიდი დაფასება და მხარდაჭერა, რაც საქართველოს რაგბის კავშირმა, სრულიად ქართულმა რაგბიმ აღმოაჩინა, ცხადია, ამ უმაღლეს ჯილდოს მე ვერ მივიღებდი...“

დევიდ მაკეიუს თქმით, საქართველოს რაგბის კავშირი საუკეთესო პირობებს ქმნის სამსაჯო სფეროს განვითარებისთვის.

პიონატების ყველა თამაში ტელევიზიით გადაიყვანა და რაგბი ფართოდ შექცევა სოციალურ პლატფორმებზე...

ნიკა ამბუკელი ქართული რაგბის ნამდვილი ვარსკვლავია, მსოფლიო ჩემპიონატებზე გამოჩნდულად წარდგა...

საოკ-ში

„სპორტფოტო“ პრეზენტაცია

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ტრადიციული, რიგით მე-9 ფოტო-კატალოგის „სპორტფოტო“ პრეზენტაცია გაიმართა.



სპორტფოტოს მთავარი მიზანია თბილისისა და მთლიანად საქართველოში სპორტული ფოტოგრაფიის განვითარება.

მინი-ფეხბურთი

პენალტების სერიები

საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის პლეი-ოფში მასპინძელ არაბთა გაერთიანებულ საამიროებს დაუპირისპირდა...

ჯგუფური ეტაპის შესანიშნავად ჩატარების შემდეგ (სამივე მეტოქე დაჯამარცხებთ, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი მექსიკა) ბესო არველიაძის გუნდმა მასპინძლებთან მატჩიც კარგად დაიწყო.



ჩემპიონთა ლიგა

წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაში თბილისის „დინამო“ იტალიურ „პრო რეკოს“ უმასპინძლა და 9:16 დამარცხდა.

დინამოელებმა თამაში კარგად დაიწყეს და ძლიერ მეტოქეს პირველ მეოთხედში დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

მეორე მეოთხედში ანგარიში ქართველმა წყალბურთელებმა გახსნეს და კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ.

დინამოელთაგან პიემივაცმა პოკერი შეასრულა, ხოლო თითო გოლი ტანკოსიჩმა, ტყეშელაშვილმა, ძიხჩიარენჯამ, ვავენსკიმ და ვლასკოვიჩმა გაიტანეს.

შეგახსენებთ, რომ ახალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის გათამაშება განახლებული სისტემით ტარდება.

„დინამოს“ დარჩენილი მატჩების კალენდარი: 22 ნოემბერი. „ოლიმპიკოსი“ - „დინამო“, 6 დეკემბერი. „დუმბროენი“ - „დინამო“.

უთანასწორო ბრძოლაში



ქორწინების იძულების ფაქტზე გოგონას დედას ბრალდება წარუდგინა

პროკურატურამ ქორწინების იძულების ფაქტზე, 14 წლის გოგონას დედას ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში, ბრალდებული გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, თვლიდა, რომ არასრულწლოვანის აზრს მნიშვნელობა არ ჰქონდა, სისტემატური მოთხოვნით, 14 წლის შვილს მისი ნების საწინააღმდეგოდ, ოჯახის მიერ შერჩეულ მამაკაცზე ქორწინებას აიძულებდა. დაზარალებულმა ბრალდებულის მხრიდან ბეწოლას თავი სახლიდან გაქცევით დააღწია.

სამართალდამცველებმა ბრალდებული სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 31 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11'-150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ქორწინების იძულება, ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ) წარუდგინა.

„აპერსის“ კლინიკიდან გაქცეული სამივე კაბინარკი დააკავეს!

– ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრი სოციალურ ქსელში წერს. როგორც რაში მრამბაძე აღნიშნავს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციით ძებნის ღონისძიება წარმატებით დასრულდა.

„მადლობა ჩემს მეგობარს, შინაგან საქმეთა დირექტორს მინისტრს, ვახტანგ გომელაურს დიდი მხარდაჭერისთვის. მადლობა ჩვენს თანამშრომლებს, რომლებმაც პოლიციასთან ერთად ყველა საჭირო ღონისძიება მაღალი პროფესიონალიზმით განახორციელეს და დაიწყეს ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება. მადლობა ყველას, ვინც წარმატება გვისურვს. დამნაშავეებს მიესჯება შესაბამისი სასჯელი. ეს არასრული 24-საათიანი ისტორია გაკვეთილი უნდა იყოს ყველათვის, ვინც საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სამართალდამცავი სისტემის წინააღმდეგ უკანონო ნაბიჯების გადადგმაზე გაიფიქრებს“, – წერს რატი ბრეგვაძე.

კრიკტო პალუტის ყარალები გაემოქირაეს!

საქართველოს პროკურატურამ, კრიკტო ვალუტის გადამცველ ოფისში მომხდარი ყარაღური თავდასხმის ფაქტზე დაკავებულ ორ პირს ბრალდება წარუდგინა, – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის 30 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში მდებარე კრიკტო ვალუტის გადამცველ ოფისში, ბრალდებულები, სხვა პირებთან ერთად, ჯგუფურად, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებით, თავს დაესხნენ აღნიშნულ ოფისში მყოფ პირებს და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლუნეს ოფისის და იქ მყოფი მომხმარებლების კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – 810 300 ამერიკული დოლარის, 110 ევროს და 6500 ლარის ოდენობით.

„დაკავებულებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ყარაღობა ჩადენილი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლები მიზნით) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გვიხედაურავია

რიგითი თბილისელის გულისტკივილი

თქვენთვის 6 ოქტომბრის ნომერში „გვიყვარხარ, თბილისო“ გამოქვეყნდა ომარ მარგველაშვილის აქტუალური წერილი, რომელიც ჩემთვის ამსოლუტურად მისაღებია და ალბათ ამას მრავალი თბილისელი მოაწერდა ხელს.

თავდაპირველად გამოგხატავ დიდ პატივისცემას ქალაქ თბილისის მერისადმი. მრმა და ყრუ უნდა იყო, რომ არ დაინახო ჩვენს ქალაქში განხორციელებული მკვრივი სასიკეთო პროექტი, თუმცა მინდა თბილისის გულშემატკივარს ომარ მარგველაშვილს ბევრ რამეში დავეთანხმებო: განა განდობილი არაა ასე გადაჯაბზო რუსთაველის პოსტამენტი, მარჯანიშვილის ხიდი და ლამაზად რესტავრირებული ქუჩები? ადგილს აღარ ტოვებენ მკვლამელები...

ამას წინათ უცხოელმა სტუმარმა მითხრა: ასეთ მკვლამელ მხატვრებს ჩვენთან ძირითადად რკინიგზის პირი და სავანებოდ გამოყოფილი ადგილები ეთმობათ. ჩვენთან კი არც ისტორიულ მემკვიდ-

რეობას, არც ხელოვნების ნიმუშებს ვხედავთ, ყველაფერს ჯღაბნიან!

ვიცი, თბილისში არის მუნიციპალური პოლიცია... ამას წინათ ერთი მოზრდილი ტროის გამო, რომელიც გახმა, მთელი მრიგადა დაგვადგა თავზე! „მხატვარ“-მკვლამელები კი მთელ ქალაქს მოედენენ...

ალბათ, ამ ხალხს ვიღაც აფინანსებს: საღებავები (პულივიზატორი) ხომ საკმაოდ ძვირი ღირს?! მახსოვს, კალაძე რომ მერად ავირჩიეთ, პირველი თქვა,

რომ გმირთა მოედნიდან ორ ბენზინგასამართ სადგურს გაიტანო! შევახსენებთ რომ, ეს აუცილებლად გასაკვეთებელია! დავეძენ იმასაც, რომ თბილისს აშკარად აკლია 2-3 ხიდი! თავისუფლად შეიძლება დიღმის მასივიდან ხიდი (ავტოსამრეცხაოს მიდამოებიდან) გადავიდეს ჯერ დიდუბეში და შეუერთდეს ნაძალადესს. თუ ასეთი გამჭოლი გზები არ გაკეთდა, ხომ ვხედავთ, რომ თბილისი სულ უფრო მძიმე საცობებში იხრჩობა. ვიდრე კვლევებს ატარებთ, მოსახლეობის უკმაყოფილების მუხტი იზრდება და ეს ძალიან ცუდია.

აღრე ვწერდი, ყველა ქვეყანაში სადისტრიბუციო მანქანები ღამის საათებში ხმარაგებენ მაღაზიებს! ნუთუ ამის ორგანიზება ასე ძნელია?!

წელს შევატყვე, დასავლეთიდან შემომსვლელი მანქანებისა და თბილისიდან გამსვლელი მანქანების საცობები ხშირად აუტანელია! აშკარაა, რომ ფეიქრების ქუჩას უნდა მიეცეს გაგრძელება, ეს არ არის რთულად მოსაგვარებელი. ასევე, აეროპორტიდან წამოსვლელ გზას, პეტრე-პავლეს სასაფლაოს გვერდით, უნდა მოენახოს ზომიერი გასასვლელი!

მსგავსი პრობლემები ბევრია. ყოველი ეს შენიშვნა კეთილი სურვილით არის ნაკარნახევი და არავითარი სხვა რამ არ მამოძრავებს.

გიორგი დოლიძე,
გიქ. მეც. დოქტორი,
თბილისის რიგითი გულშემატკივარი.

საქართველოს რესპუბლიკა





ვიზიტორების უსვლა აია-სოფიაში ფასიანი გახდება

მომავალ გადაკეთებულ აია-სოფიას ტაძარში შესვლა ფასიანი უცხოელებისთვის გახდება. ამის შესახებ თურქეთის კულტურისა და ტურისტების მინისტრმა, მეჰმეთ ნური ერსოიმ განაცხადა.

დედოფლის პირად ავტომობილს აუქციონზე გაყიდეს



დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორის პირად ავტომობილს აუქციონზე გაყიდეს. საუბარია Range Rover Vogue 2004-ზე, რომელიც დედოფალი ხშირად დადიოდა.

ბრიტანეთის მეფე ჩინაპარტა უსვლოებს ინანიებს

დიდი ბრიტანეთის მეფე ჩარლზ III და დედოფალი კამილა ჩინაპარტაში ოთხდღიანი სახელმწიფო ვიზიტით ჩავიდნენ, რომელიც კენიასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ურთიერთობების განმტკიცებას ისახავს მიზნად.



აშშ-ში ანტისემიტის დონე ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს

აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) დირექტორმა, კრისტოფერ რეიმ სენატში გამოსვლისას განაცხადა, რომ ღაზის სექტორისა და ისრაელში მიმდინარე მოვლენების ფონზე აშშ-ში ანტისემიტის დონე ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს.

პენაში ეპრაპლების საფლაკები ნაპილნეს

პსსმრის დედაქალაქ ვენაში, ებრაელების სასაფლაოზე, კედლის ნაწილები სვასტიკა დახატეს. ავსტრიის ებრაული თემის ხელმძღვანელმა ოსკარ ლიხტმა თქვა, რომ საშიშროებაა ებრაული სასაფლაოს კედლებზე სვასტიკისა და შიტლენის ფოტოების დახატვა.

„ჩვენ პარტი ოკუპაციის მსხვერპლნი, გაპარულნი ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ“

„ჰამასის“ წარმომადგენელმა, ღაზის ჰამადმა განაცხადა, რომ „ჰამასი“ გააკრძალვს ისრაელზე თავდასხმას, ვიდრე არ გაანადგურებს მას. როგორც ჰამადმა ლიბანურ არხთან ინტერვიუში აღნიშნა, „ისრაელი მთლიანად უნდა განადგურდეს პალესტინის მიწაზე, მისი არსებობა ალ-ოკუპაციის“.

ლიზა იასკო: სააკაშვილის ღვიწო კიბოა!!!

ამის შესახებ უკრაინის რადას დეპუტატი ლიზა იასკო „ინსტაგრამში“ წერს და მიხეილ სააკაშვილის ძმასთან, გიორგი სააკაშვილთან ერთად გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს.



საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA ადრეიტლის №116 (დიდუბა ქაზა) მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოვულია 599 36-00-35

გამომცემელი: შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი 599 36-00-35

იკაშვილი სტამბა „კოლორი“ ე. ჰაღდავასძის №3 ჯილდო ჯილდო 30000000538329790 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ავტორთა საჭურადალაქოდი! რადაქციის მხარე შეუქვეთავი მასალავი დანიავადევა ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომღვაწე ნომერი გამოვა ორჯერჯერ, 6 ნომერი

საქართველოს რესპუბლიკის მისამართები: აშშ ფონური - 2.7152; პირი - 2.8865; ბრიტანული ბირჟის სერვისები - 3.3098; 100 რუბლი - 2.9271; თურქული ლირა - 0.0958; აზერბაიჯანული მანათი - 1.5984; 1000 სომხური დრამი - 6.7825

აპრილი 3 ნომერისთვის: ავტორთა საჭურადალაქოდი: პირი - ლამი +9, ლამი +24; მთავარი რედაქტორი - ლამი +4, ლამი +21; დანაკარგი საჭურადალაქოდი: პირი - ლამი +13, ლამი +23; მთავარი რედაქტორი - ლამი +6, ლამი +21; თბილისი: ლამი +14, ლამი +23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ: ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17 ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ვებ-გვერდი: www.sakresp.ge